საქართველოს რესპუბლიკა
2010-07-17

თუ გაზსადენზე კონტროლს დავკარგავთ, უფუნქციო ტერიტორიად დავრჩებით: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალმა მინისტრმა ბრძანა, ორი წელიწადი მილსადენს არ გავყიდითო. მის სიტყვას დაეჯერება ? ორი წელი ის მინისტრი იქნება.
შეიძლება თუ არა საქართველოში გამავალი გაზსადენის გაყიდვა. - შეიძლება! ჯობია თუ არა, რომ გაიყიდოს. - რა თქმა უნდა! არა მარტო შეიძლება, უმჯობესიც კი არის... მაგისტრალური მილსადენი ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ობიექტია. მაგრამ როგორც კი საქართველოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში შევხედავთ, იმთავითვე ჩნდება კითხვა - თუკი სტრატეგიულ ობიექტებს გავყიდით, ვინ ვიქნებით და რა მისია გვრჩება. - ამბობს ჩვენთან საუბარში ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა. და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმაოდ ვრცელი და საინტერესო საუბრის ჩაწერა გვიწევს.

- გაზსადენის გაყიდვის მცდელობა სრულებითაც არ არის ახალი. ეს თემა პირველად საქართველოში 2003 წლის ზაფხულში გახმიანდა, როდესაც მაშინდელმა ენერგეტიკისა და სათბობის მინისტრმა დავით მირცხულავამ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი "გაზპრომთან", ანუ შედგა მოლაპარაკება გაზსადენთან დაკავშირებით. ამის გამო მაშინდელმა ოპოზიციამ ხმაური ატეხა, თითქმის ყველა პარტია კრიტიკულად გამოვიდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი. ითქვა ისიც, რომ საქართველოს მთავრობა გამყიდველია, როგორ შეიძლება ამ მაგისტრალური გაზსადენის დათმობა და ა. შ.
- რატომ გაჩერდა მაშინ ეს ამბავი.
- შემდეგ ის იყო, რომ "ვარდების რევოლუცია" მოხდა. იქამდე იყო პოლიტიკური დაძაბულობა, არჩევნები და მაშინდელ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა საკითხის გამწვავება. მას მერე, რაც ახალმა მთავრობამ კარი გაუღო რუსულ ინვესტიციებს და შესთავაზა, რაც შეიძლება მეტი ინტენსივობით შემოსულიყო საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში (შემოდიოდა კიდეც), უკვე რეალურად დადგა "გაზპრომისთვის" მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვის საკითხი.
- რამდენ წელიწადში.
- ეს არის უკვე 2004 წელი. და თუ მეხსიერება არ მღალატობს, პრემიერ-მინისტრმა ასეთი განცხადებაც კი გააკეთა; რომ ეს არის უბრალო მილი, ეს არც სვეტიცხოველია და არც ჯვარი (ანუ არ არის ისეთი ეროვნული მემკვიდრეობა, რომლის პრივატიზაცია, ან გაყიდვა არ შეიძლებოდესო). მაგრამ აქ ერთი საინტერესო მომენტია: "გაზპრომი" მყიდველი რომც ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა პრივატიზაცია, ვინაიდან ის არის სახელმწიფო და არა კერძო კომპანია, თანაც რუსეთის. მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას ახასიათებს ასეთი თვალთმაქცობა. მაგალითად, როცა

"თბილგაზი" "ყაზმონაიგაზმა" იყიდა, ჩაითვალა, რომ ეს იყო პრივატიზაცია. სინამდვილეში პრივატიზაცია არ მომხდარა. რადგან "თბილგაზი" იყო საქართველოს მთავრობის საკუთრება, ხოლო "ყაზმონაიგაზი" ასი პროცენტით არის ყაზახეთის მთავრობის საკუთრება. თანაც გამოვიდა, რომ საქართველოს მთავრობა ბევრად უფრო უუნარო ობიექტის მართვაში, ვიდრე ყაზახეთის მთავრობა. "გაზპრომთან" ინტენსიური მოლაპარაკებები შედგა 2005 წლის შემოდგომაზე. მაშინ ასეთი სქემაც კი არსებობდა: საქართველოს ხელისუფლება მაგისტრალურ გაზსადენში 300 მილიონ დოლარს ითხოვდა, "გაზპრომი" მზად იყო მხოლოდ ნახევარი გადაეხადა. მოლაპარაკებებში ჩართეს ერთ-ერთი ფრანგული შუამავალი კომპანია, რომელსაც მხარეები უნდა მოერიგებინა. 2006 წლის დასაწყისში "გაზპრომისთვის" მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვის შესახებ განცხადებებით გამოდიოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, ეკონომიკის დარგში რეფორმების სახელმწიფო მინისტრიც... ასე რომ, ეს უკვე იყო მთავრობის ოფიციალური პოზიცია. 2006 წლის გაზაფხულზე ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ჩაერია, რომელმაც მკაცრად მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვაზე უარი ეთქვა. ამასთან აშშ-მა ათასწლეულის განვითარების ფონდიდან მილსადენის რეაბილიტაციისთვის 49 მილიონი დოლარი გამოყო. იმავდროულად, ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებდა, მაგისტრალური გაზსადენი ხუთი წლის განმავლობაში არ გაეყიდა.
- ხელშეკრულების ვადა უკვე 2011 წელს იწურება.
- დიახ; ეს ის თარიღია, რომელზეც ვისაუბრებ... ჯერ მხოლოდ ისტორია მოგიყევით, ახლა შევხედოთ, რა რეალური სურათი გვაქვს ამ მილსადენთან დაკავშირებით. ეს არის ნაწილი იმ დიდი მილსადენისა, რომელიც რუსეთში არსებული განტოტვილი ქსელიდან საქართველოში შემოდის და შემდეგ სომხეთში გადის. ამ გზით "გაზპრომს" გაზი შემოჰქონდა საქართველოში და აგზავნიდა სომხეთში. მას შემდეგ, რაც საქართველო გაზს "გაზპრომიდან" არ ყიდულობს, ეს მილსადენი მხოლოდ სომხეთში გაზის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება. მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ რუსეთში და ასევე სომხეთში არსებული გაზსადენის მესაკუთრე "გაზპრომია". შუაში არის გაჩხერილი მილსადენი, რომლითაც სარგებლობს "გაზპრომი", მაგრამ მას კი არ ეკუთვნის, არამედ საქართველოსია.
- რუსეთის მაგისტრალური მილსადენი სომხეთში წყდება.
- დიახ. მაგრამ რამდენიმე წლის წინათ სომხეთსა და ირანს შორის დაიწყო გაზსადენის მშენებლობა, რომლითაც ირანი გაზს სომხეთს მიაწვდის. ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში მილსადენი "გაზპრომმა" იყიდა, ანუ ის გაზიც კი, რომელსაც ირანი მიაწვდის სომხეთს, რუსეთის მილებში გაივლის. პრაქტიკულად თუ შევხედავთ, რუსეთის განტოტვილი სისტემა იქმნება, სადაც რუსეთის გაზსადენებს

შესაძლებლობა აქვთ სინქრონიზაციაში იყვნენ ირანთან და ამაში მას ხელს უშლის მხოლოდ საქართველო. აი, რატომ იყვნენ ამერიკელები წინააღმდეგნი, ამ მაგისტრალური მილსადენის გაყიდვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს გაზსადენის გარდა, ყველგან მის მეზობლად "გაზპრომია", რა გამოდის, ვინ არის დაინტერესებული, იყიდოს ეს გაზსადენი. - მხოლოდ "გაზპრომი". ან ფრანგი მოვა, ან ამერიკელი?! და თუკი მოვა, რუსეთი ყოველთვის მეტს გადაიხდის.
- მით უფრო, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის ენერგეტიკა საგარეო პოლიტიკის მთავარი იარაღია...
- განსაკუთრებით ეს ეხება გაზს. ხოლო კონკრეტულად "გაზპრომი" - ეს არის რუსეთის აგრესული საგარეო პოლიტიკის უძლიერესი ინსტრუმენტი. საქართველოში "ვარდების რევოლუციამდე" თვენახევრით ადრე "ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნდა რუსი პოლიტიკოსის, ეკონომისტის, მენეჯერის ანატოლი ჩუბაისის ანალიტიკური წერილი "რუსეთის მისია XX| საუკუნეში". წერილის დედააზრი მარტივია: რუსეთი იმდენად დიდია, რომ ის ვერც ნატოში ჩაეტევა, ვერც ევროკავშირში. მაშ რა უნდა გააკეთოს მან. - უნდა შექმნას ახალი იმპერია თავის გარშემო, მაგრამ არა სამხედრო ოპერაციებით, მილიტარისტული გზით, არამედ მშვიდობიანი ეკონომიკური გზით. ჩუბაისი სთავაზობს გეგმებს, თუ როგორ შეუძლიათ სახელმწიფო და კერძო რუსულ კომპანიებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პრივატიზაციაში მონაწილეობა, იქ არსებული აქტივების შეძენა, რომ ხელთ იგდონ ეკონომიკური ბერკეტები და ასე აკონტროლონ ისინი. ეს დოქტრინა რუსეთის მთავრობის ოფიციალური დოქტრინა გახდა. მართალია, ტერმინი "ლიბერალური იმპერია" ბოლო ხანებში ამოვარდა ხმარებიდან, მაგრამ შინაარსი დარჩა.
მეტიც, კავკასიაში ამ იმპერიის შექმნა დაიწყო სომხეთით. იქ დამოუკიდებელი ეკონომიკა არ არსებობს. აყვავდა კი ამით სომხეთი. - არა! ეს არის რუსეთისთვის პოლიტიკური ინვესტიცია, და არა იმისთვის, რომ ეკონომიკური ხეირი ნახოს.
- ალბათ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სომხეთსა და რუსეთს საერთო საზღვარი არა აქვთ...
- სწორედ ამიტომ ვერ ხერხდება სომხეთის სრული ინტეგრაცია რუსეთის ეკონომიკაში, ეს რომ მოხდეს, მათ შორის არსებული ორი სახელმწიფოდან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს ჩართული ამ "ლიბერალურ იმპერიაში", ან აზერბაიჯანი, ან საქართველო. მაგრამ ვინაიდან სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობაში "მთიანი ყარაბაღის" კონფლიქტი არსებობს, ეს შემაფერხებელი ფაქტორია. ხოლო თუკი საქართველო ჩაითრიეს ამ "ლიბერალურ იმპერიაში", აზერბაიჯანს სხვა გზა თავისთავად არ რჩება, რადგან ყველა მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიები საქართველოზე გადის.
აი, ამ სქემის საუკეთესო მაგალითია სომხეთის რკინიგზა, რომელიც რუსეთმა შეიძინა და სახელიც ასეთი დაარქვა "სამხრეთ კავკასიის რკინიგზა". რუსეთის "ლიბერალური იმპერიის" შექმნის გზაზე კი

საქართველოს მთავრობამ გადადგა ჩემთვის მეტად გაუგებარი, უცნაური ნაბიჯები. მაგალითად, ვნეშ-ტორგ-ბანკმა ბანკი "გაერთიანებული ბანკი" შეიძინა, "პრომიშლენნიე ინვესტორმა" მადნეულში ქართული სპილენძისა და ქართული ოქროს წარმოება იყიდა. ასევე ძალიან ბევრი კომპანიაა შემოსული ოფშორული ზონებიდან, რომლის სათავეში ვინ დგას, რთულია დადგენა. მაგალითად, "თბილისის წყლის" მესაკუთრეა ერთ-ერთი კომპანია, რომელიც შვეიცარიაშია დარეგისტრირებული, მაგრამ "თბილისის წყალში" თუ მიხვალთ, აღმოაჩენთ, რომ იქ მენეჯმენტი რუსულ ენაზეა. ასევე "ენერგო-პრო" ჩეხური კომპანიის სახელით არის ცნობილი, მაგრამ არ ვიცით, მისი რეალური წარმომავლობა.
- საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაბეჯითებით ამბობენ, რომ რუსეთის წილი ქართულ ეკონომიკაში 4-5 პროცენტია. ოპონენტები პირიქით, ამბობენ, რომ 92 პროცენტია. თქვენც არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველოში ძალიან ცოტა არიან ამერიკული თუ დასავლური კომპანიები, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენო. რეალურად რა ციფრთან გვაქვს საქმე.
- ვერ გეტყვით. სწორედ იმიტომ, რომ ექსპერტად მივიჩნევ თავს, ასეთ საკითხზე შეფასებები უნდა ხდებოდეს სტატისტიკაზე დაყრდნობით. მე არა მაქვს იმის საბუთი, ესა თუ ის კომპანია, არის რუსული თუ არა, მხოლოდ ეჭვი მაქვს. არც ინვესტიციებში არ არის გამჭვირვალობა. მე ორივე მხარის დასახელებული ციფრი საეჭვო მეჩვენება, ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი არა მაქვს. რაც შეეხება დასავლურ ორგანიზაციებს, ისინი მართლაც სულ რამდენიმეა.
- ჩვენი საუბარი ძირითადად შეეხო "გაზპრომს", მაგრამ ხომ შეიძლება სხვა რომელიმე ორგანიზაციამ გამოთქვას გაზსადენის შეძენის სურვილი. როგორც ვიცით, მილსადენის შესყიდვით დაინტერესებულია აზერბაიჯანული კომპანია "სოკარი".
- ვინც არ უნდა იყიდოს, საქართველო მაინც იზარალებს. ამ მილებში რუსეთიდან სომხეთისათვის გამავალი გაზის 10 პროცენტი დღეს ჩვენ უფასოდ გვერგება, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას. ვინც არ უნდა იყოს მყიდველი, ფაქტია, რომ ტრანზიტის ეს საფასური მყიდველს დარჩება, აბა სხვა რა სარგებლისთვის იყიდის ვიღაცა გაზსადენს, რაში სჭირდება. ხოლო ის გაზი, რომელიც დღეს უფასოდ გვაქვს, ხვალ შესასყიდი გვექნება. ბუნებრივია, ეს გაზის ტარიფზეც აისახება. როგორც უკრაინაში მცხოვრებმა ქართველმა ექსპერტმა გიორგი სიგუამ მიმანიშნა, უკრაინის ტერიტორიაზე რუსული გაზის ტრანზიტისათვის უკრაინა იღებს ამ გაზის მხოლოდ 6 პროცენტს, თუმცა მანძილი 5-ჯერ აღემატება საქართველოსას.; აშკარაა, რომ საქართველოს თითქმის 8-ჯერ უკეთესი კონტრაქტი აქვს, ვიდრე უკრაინას. იბადება კითხვა, მაშ რატომ აკეთებს ამას საქართველოს მთავრობა.
- დაიბადება, კი...
- შესაძლოა, მკითხველს გაუჩნდეს. ჩვენ იმდენი კომპონენტი ჩამოვთვალეთ... აი, სწორედ აქ არის განსაზღვრელი ის თარიღი,

რომელიც თავში ვახსენეთ. ამერიკელებთან ხელშეკრულების ვადა 2011 წლის 7 აპრილს გადის, ანუ გაზაფხულზე. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, თქვენი გაზეთის საშუალებით, იმ სერიოზულ ფინანსურ დახმარებაზე, რომელიც საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ დონორებმა გამოუყვეს - 4,55 მილიარდი დოლარი. ეს დახმარება სრულდება 2010 წლის ბოლოს, ხოლო მცირედი ნაწილი შემოვა 2011 წლის | კვარტალში, ხოლო ამის შემდეგ საქართველოში დიდი მოცულობით დახმარება ვეღარ შემოვა. და თუ დღეს ეკონომიკურ კრიზისს მწვავედ არ გრძნობს მოსახლეობა, ეს იმიტომ, რომ ქვეყანაში შემოდის სერიოზული დახმარება. 2011 წლის გაზაფხულისთვის კი საქართველოს მთავრობა ცდილობს ბიუჯეტის შევსების ახალი გზების გამონახვას.
- და რა გამოდის, რომ დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს.
- ეს მარტო ჩვენს მთავრობას არ ახასიათებს. იმიტომ რომ მთავრობა ხანმოკლე პერიოდით არის მოსული ხელისუფლებაში, ზოგი რამდენიმე თვით, ზოგი რამდენიმე წლით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ქალბატონმა ვერა ქობალიამ განაცხადა, ორი წელი გაზსადენს არ გავყიდითო. მის სიტყვას დაეჯერება, ან ორი წელი ის მინისტრი იქნება.
- ეჭვი იმაზეც გამოითქვა, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება საპრივატიზაციო ნუსხაში გაზსადენის ჩაწერით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას "აშინებს", რომელსაც შემდეგ "დივიდენდების" მისაღებად გამოიყენებს.
- ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია გაზსადენი არ გაიყიდოს, რათა რუსეთ-ირანის ენერგეტიკის გაერთიანებას მერე წინ ვერაფრით აღუდგება. ამიტომ ეს შეიძლება იყოს ამერიკელებთან ვაჭრობის საგანი, იმ პირობით, რომ საქართველოს მთავრობა გაზსადენს არ გაყიდის, ამერიკელები დახმარების პაკეტს შესთავაზებენ. ამერიკელებთან სავაჭრო მეორე თემაც არსებობს, რომელიც გაზსადენს არ ეხება. ეს არის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება, რადგან ამერიკელები სერიოზულად არიან ამით დაინტერესებულნი. საქართველომ შეიძლება თავისი თანხმობა სარფიანად გაყიდოს. ასე რომ, ბევრი სავაჭრო თემაა.
თუკი ამერიკელები ამაზე არ წამოვლენ, გაყიდიან გაზსადენს (მყიდველი, როგორც გითხარით, დიდი ალბათობით "გაზპრომი" იქნებაძდა ასე გადაწყვეტენ 2011 წლის საბიუჯეტო პრობლემას.
- შესაძლოა, გაზსადენი მართლაც გაიყიდოს, მაგრამ საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ის საკონტროლო პაკეტს არ დათმობს, თუმცა თავი კი შეიკავეს ამის გარდამავალ დებულებაში ჩაწერისაგან.
- ჯერ ის არის მთავარი, რომ გაზსადენი გასაყიდ ობიექტთა სიაშია, ხოლო კანონით არ არის განსაზღვრული, მისი ნაწილი უნდა გაიყიდოს თუ მთლიანად. ხელისუფლება როგორ გაყიდის მას, ეს პროცესი გაუმჭვირვალეა. არ ვიცით, უამრავი ობიექტი ვისია, რა წილია

გაყიდული და ა. შ. თუნდაც "ენგურჰესი", რა ვიცით, ვისია. თუ ეს ყველაფერი აქამდე დახურული იყო, ამის იქით რატომ იქნება გამჭვირვალე.
- სტრატეგიული ობიექტი ზოგადად უნდა იყიდებოდეს თუ არ უნდა იყიდებოდეს.
- ეკონომიკაში სტრატეგიული ობიექტის ცნება არ არსებობს. ობიექტი ან მომგებიანია, ან წამგებიანი. სტრატეგიულობის ცნება შემოდის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, თითოეული ქვეყნის საერთაშორისო ფუნქციის განმახორციელებელი ობიექტი იძენს სტრატეგიულობის ფუნქციას. სტრატეგიულობის მხრივ საქართველოს უმთავრესი საერთაშორისო ფუნქციაა იყოს სატრანზიტო დერეფანი, ხოლო თუ ამაზე კონტროლს დავკარგავთ, აბსოლუტურად უფუნქციო ტერიტორიად ვრჩებით.

ესაუბრა თეა მოსია